პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 225 (3202) 20 1966 წ. ნოემბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## გუშინ...

გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონატისა. ალმა-ათის „კაირატმა“ მიიღო მოსკოვის „ლოკომოტივი“.

თამაში დამთავრდა ფრედ— 1:1.

## „ა“ კლასი I ჯგუფი

ფეხბურთი



## საქართველოს ჩემპიონობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „მერცხალი“ (მახარაძე) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0. მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

მასპინძლებმა დასაწყისშივე შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი მეტოქის კართან, მაგრამ ქობულეთელებმა შეძლეს ტაიმის ფრედ დამთავრება — 0:0. შესვენების შემდეგ თამაში მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით და მახარაძელთა ერთ-ერთი შეტევისას სტუმრების მცველმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. „შუქურა“ ბევრს ეცადა გაეტანა საპასუხო ბურთი, მაგრამ ამაოდ.

● „კოლხეთი“ (ცხაკაია) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0. მსაჯი გ. ბაქანიძე (თბილისი).

ცხაკაიელებმა გაშლილი ფრონტით შეუტიეს მეტოქეს და აიძულეს იგი თავისი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს ემოქმედა. ერთ-ერთი იერიში მე-15 წუთზე გოლით დაამთავრა ქაჩიბაიამ — 1:0. ბრძოლის სურათი მინდორზე არ შეცვლილა შესვენების შემდეგაც და ძნელი გამარჯვება დარჩა „კოლხეთს“.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).

პირველ ტაიმს შედეგი არ მოჰყოლია — 0:0. ანგარიში გახსნეს სტუდენტებმა (აფხაზავამ). მატჩის დასასრულს წულუკიძელები განუწყვეტლივ უტევდნენ და ანგარიშიც გათანაბრდა. ეს ბურთი საკუთარ კარში გაიტანა ინსტიტუტელთა მცველმა სიტკოვმა.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი)— „მესხეთი“ (ახალციხე) 0:1. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).



ზამთრის პირისთვის უჩვეულოდ თბილი დარები დაიჭირა თბილისში. ესაა, ერთი-ორი დღე უძომ ჩამოიფხატა თოვლის ქათქათა ქუდი და მთაწმინდის კალთები აჭრელდა წითელ-ყვითლად, თორემ შემოდგომის მიწურულს რა უგავს...

მტკვარი ისევ სავსეა, თბილი და წყნარი მოდის თავის გზაზე. ხიდები გვირგვინად დასდგომია... არც ნიჩბის ტლაშუნი დაჰკლებია, არც მოცურავეთა მხარ-მკლავი.

ეს ნიჩბოსნები, პირველ სურათზე რომ ხედავთ, ალბათ, დილაადრიან დაუყვნენ წყალს. იქნებ, ერთი მეორეს ეჯიბრება, პირველობას ეცილება, იქნებ რომელიმე დიდი ასპარეზობისთვის ემზადებიან და ამიტომ შესჭიდებიან მდინარის ტალღებს, ან იქნებ, ისე, გუნებისად გამოსულან, ნიჩაბს უსვამენ და თავიანთ საფიქრალს ფიქრობენ...

სადღაც, მტკვარგაღმა გზატკეცილი გადაწოლილა. ჯერ არც თოვლი დაჰფენია პირზე, არც წვიმასა და ლამს შეუწუხებია მაინცდამაინც. წევს და უკვირს, ნოემბრის დამლევს ასე შილიფად გამოწყობილი ბიჭები ველოსიპედებით რომ მიუყვებიან თავქვე. არა, ისინი მოხეტიალე მეოცნებეებს არ ჰგვანან, ან შეჯიბრებაა რამე, ან სავარჯიშოდ გამოსულან. ამინდი კარგია, გულდაგულ წვრთნისთვის კი ყოველ საათს მნიშვნელობა აქვს.

შემოდგომის ბილიკს სულ სხვა ფერი და ლაზათი აქვს. მზესაც აკლია ძველებური მცხუნვარება და მორბენალს სხვა რა სჭირდება სავარჯიშოდ: თვალსაც უხარია და მუხლსაც. მძლეოსნური სეზონი მიიწურა, მაგრამ წინ ხომ თებერვალია, ზამთრის კროსი! ეს ქალიშვილიც, ალბათ, ახლა სადღაც, კუს ტბასთან ყოველდღე შეუპოვრად ებრძვის ასობით მეტრს, რომ იქ, იმ მომავალ ასპარეზობაში თავი არ შეირცხვინოს.

ფოტოსურათები ბ. ქვათაძისა და ო. გელაშვილისა.

## ინფორმაციის საათი...

◆ მოსკოვი, 19 ნოემბერი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები, რომელიც ალბანელებთან შესარჩევი მატჩისთვის ემზადება, რამდენიმე შეხვედრას გამართავს ჰოლანდიაში, მექსიკასა და კუბაში. ნაკრების შემადგენლობაში (იგი 24 ნოემბერს დატოვებს მოსკოვს) შევიდნენ: მეკარეები — რ. ურუშაძე და ლ. კუდასოვი, მცველები — ს. კრულიკოვსკი, ვ. ლევჩენკო, ვ. შტაპოვი, ვ. ივანოვი, ვ. ანიჩკინი, ნახევარმცველები — ა. ილიადი, ვ. მუნტიანი, ი. სავოსტიკოვი, ტ. შულიატიცკი, თავდამსხმელები — ე. ხუციშვილი, ვ. ფედოტოვი, ს. ვარგა, ლ. ადამოვი, ა. ესკოვი, ბ. აბდურაიმოვი, ა. პილიპჩუკი. გუნდს, ცხადია, გაჰყვებიან მთავარი მწვრთნელი გ. კაჩალინი და მწვრთნელი ნ. სიმონიანი.

◆ *კიევი, 19 ნოემბერი. მოჭადრაკექალთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში ლიდერობა ხელთ იგდეს ლვოველმა ტ. მოროზოვამ და ხარკოველმა ლ. იდელჩიკმა. გადადებული პარტიების დამთავრებისას ტურნირის დებიუტანტმა მოროზოვამ მოუგო ე. ბიკოვას (მოსკოვი) და ა. ჩაიკოვსკაიას (თბილისი). ლიდერებს 2-2 ქულა აქვთ 2 ტურის შემდეგ.*

◆ ლენინგრადი, 19 ნოემბერი. ფინელ ძალოსნებთან ტრადიციულ მატჩში ადგილობრივმა ნაკრებმა გამარჯვების გარდა (5:2) ახალი საკავშირო რეკორდი შვა: მძიმე წონის ათლეტმა ნ. მირონენკომ აჰიმა 172,5 კგ და 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა როსტოველი ს. ჩერვიაკოვის მიღწევა.

## არმიელთა წარმატება

ტაშკენტი, 19 ნოემბერი. 21 გუნდის 320 სპორტსმენი ჩაება ბრძოლაში სსრ კავშირის პირველობაზე სპორტულ ტანვარჯიშში გუნდური პრიზისა და აბსოლუტური ჩემპიონობისთვის.

შეჯიბრების პირველ დღეს მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა გულთბილად გააცილა „დიდი სპორტიდან“ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ლატინინა. 140 მედალს, რომლებიც მას მიუღია სხვადასხვა შეჯიბრებაში, მიემატა კიდევ ერთი — „დიდი სპორტული წარმატებებისათვის“. უამრავ ყვავილში იყო თაიგული, რომელიც მას მიუძღვნა უმცროსმა მეგობარმა ნ. კუჩინსკაიამ.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველობა მოიპოვეს არმიელმა ტანმოვარჯიშეებმა — 395,2 ქულა. II ადგილზე გავიდნენ დინამოელები — 392,35, ხოლო III—„ტრუდის“ წარმომადგენლები — 384,7.



# სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი

**20 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე**

**აკრობატიკა**

საmatჩო შეხვედრა საქართველო — კრასნოდარი. **თბილისი. 25-27 ნოემბერი;** „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **თბილისი. 6-8 დეკემბერი.**

**კალათბურთი**

თბილისის თასი. **25 ნოემბერი-5 დეკემბერი.**

**ფრენბურთი**

„შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **თბილისი. 24-26 ნოემბერი;** თბილისის თასი. **1-5 დეკემბერი;** თბილისის პირველობა. **15-16 დეკემბერი.**

**კრივი**

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. **ქუთაისი. 1-5 დეკემბერი.**

**თავისუფალი ჭიდაობა**

საქართველოს პირველობა. **თბილისი. 23-26 ნოემბერი;** „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **თბილისი. 28-30 ნოემბერი;** „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. **თბილისი. 9-11 დეკემბერი;** საmatჩო შეხვედრა თბილისი — მოსკოვი. **თბილისი. 5-6 დეკემბერი.**

**კლასიკური ჭიდაობა**

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. **თბილისი. 2-4 დეკემბერი;** საქართველოს პირველობა. **თბილისი. 17-20 დეკემბერი;** „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **თბილისი. 6-8 დეკემბერი;** თბილისის პირველობა. **16-20 დეკემბერი;** საmatჩო შეხვედრა თბილისი — მოსკოვი. **თბილისი. 9-11 დეკემბერი.**

**მხატვრული ტანვარჯიში**

თბილისის თასი. **26-28 ნოემბერი;** საქართველოს პირველობა. **სოხუმი. 10-13 დეკემბერი.**

**ცურვა**

„შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. **თბილისი. 12-14 დეკემბერი.**

**მაგიდის ჩოგბურთი**

საქართველოს პირველობა. **ცხინვალი. 24-29 ნოემბერი.**

**ფარიკაობა**

თბილისის თასი. **1-3 დეკემბერი.**

**ძალოსნობა**

საქართველოს პირველობა. **თბილისი. 20-22 ნოემბერი.**

**სასტენდო სროლა**

კონსტიტუციის სახელობის თასი. **თბილისი. 3-5 დეკემბერი.**

**ხელბურთი**

ტურნირი მოსკოვის, კიევისა და თბილისის გუნდების მონაწილეობით. **ფოთი. 3-7 დეკემბერი;** თბილისის თასი. **25 ნოემბერი-5 დეკემბერი.**

**წყალში ხტომა**

საქართველოს პირველობა. **თბილისი. 15-17 დეკემბერი.**

**მძლეოსნობა**

აზერბაიჯანის ღია ჩემპიონატში მონაწილეობა. **27-30 ნოემბერი.**

**სამბო**

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. **თბილისი. 22-24 ნოემბერი;** საქართველოს პირველობა. **თბილისი. 2-5 დეკემბერი.**

**საქართველოს სპორტკავშირი.**

# „მიტაცებული" მიწა

ლამოვანი მჭადიჯვრის კოლმეურნეობაში შემავალი სოფელია დუშეთის რაიონში. ამას წინათ იქაური ახალგაზრდების წერილი მივიღეთ, ბრიგადირმა ვ. ბედოშვილმა სპორტული მოედანი გადაგვიხნაო, გვწერდნენ.

რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოდან გ. თუჯიშვილს ვთხოვეთ წაგვყოლოდა და „კოლმეურნეს" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე მ. კარიაულთან ერთად ლამოვანში ჩავედით. როგორც მჭადიჯვრის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ც. ჯარიაშვილმა გვითხრა, ამ ზაფხულს ახალგაზრდებს თვითნებურად „მიუტაცნიათ" სათესი მიწის ფართობი და სპორტული მოედანი მოუწყვიათ.

— კი მაგრამ მოედანიც ხომ საჭიროა სოფლისთვის? — ვკითხეთ ც. ჯარიაშვილს.

— რას ბრძანებთ, სადა გვაქვს საშუალება ყველა პატარა სოფელს მოედნისთვის მიწის ნაკვეთი მივცეთ, — გვიპასუხა პარტკომმა.

ჩვენ პარტიისა და მთავრობის აგვისტოს დადგენილება გავახსენეთ, რომლის თანახმადაც „ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან გააფართოვონ კომპლექსური მოედნების, სტადიონებისა და სხვა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა კოლმეურნეობებში..."

მერე ბედოშვილს ვკითხეთ, ვისი განკარგულებით გადახნა მოედანი.

— მიწის ნაკვეთები მე მაწერია, სათესი გეგმა მაქვს და ეს მიწაც ამიტომ გადავახვნევინე. ლამოვანში სპორტული მოედნის ადგილი არ არის, მორჩა და გათავდა, — მოკლედ მოგვიჭრა ბრიგადირმა.

ახლა ახალგაზრდა კოლმეურნეებს მოვუსმინოთ:

— სოფელში ეს ერთი მოედანი გვქონდა და ისიც წაგვართვეს. მუშაობას რომ მოვრჩებით, ერთხანს ბიბლიოთეკაში დავსხდებით, მერე კი აღარ ვიცით, დრო რით მოვკლათ, — გვითხრეს გ. ძებისაშვილმა და გ. ასაშვილმა.

სპორტი რომ ახალგაზრდებს შრომაში ეხმარება, ამავე კოლმეურნეობის მჭადიჯვრის ახალგაზრდული ბრიგადის მაგალითიც ადასტურებს. ეს ბრიგადა წლეულს შეიქმნა და უკვე მთელ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი. მისი ყველა წევრი სპორტსმენია. რაიონის თასიც მოიპოვეს ფრენბურთში. ახლა ყველა მჭადიჯვრელი ახალგაზრდა მეცადინეობს ფიზკულტურაში. ლამოვნელებმა რაღა დააშავეს?

კოლმეურნეობის მესვეურებმა ბოლოს თავი იმართლეს, მოედნის ირგვლივ პურის ყანებია და ვაი, თუ ვარჯიშის და შეჯიბრებების დროს დაზიანდესო. ეს თქვეს და მაშინვე დაუმატეს — ახალგაზრდებმა მჭადიჯვარში იარონ სპორტულ სექციებში სამეცადინოდ, იქ ახალ ფიზკულტურულ მოედნებს ვაწყობთო.

ეს სიტყვა არც საბუთად გამოდგება, არც ნუგეშად. კოლმეურნეობის გამგეობის საბოლოო გადაწყვეტილებას ჩვენც ლამოვნელ სპორტის მოყვარულებთან ერთად დაველოდებით.

**თ. გაჩეჩილაძე.**

(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ლამოვანი,

დუშეთის რაიონი.

# სეზონის გვირგვინი

ყოველი სეზონის მიწურულს კეთილშობილურ ლითონთა „რესპუბლიკური მარაგი" იზრდება. სხვათა შორის, ეს ერთადერთი შემთხვევაა, რომ განძი სახელმწიფო ხაზინის სეიფებში კი არა, კერძო პირთა ბინებში ინახება და მაინც საბჭოთა კანონიერების დარღვევად არ ითვლება. „ოქროს ციებ-ცხელების" გმირები წლეულსაც ჩვენი სახელოვანი მოჭიდავეები იყვნენ, რომლებმაც სეზონი ახალი ელდორადოს აღმოჩენით დაამთავრეს.

ოქროს ისინი სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში ეძებდნენ, ერთმანეთისგან ათასობით კილომეტრით იყვნენ დაშორებული. „საძიებო სამუშაოები" წარმოებდა ალმა-ათასა და ნოვოსიბირსკში, სვერდლოვსკსა და ლენინაკანში. ასე გასინჯეთ, თბილისშიც კი... და როცა შეჯამდა ამ დაუსწრებელი „გეოლოგიური შეჯიბრების" შედეგები, აღმოჩნდა, რომ:

1. ამა ქვეყნის ძლიერთა ... არ ჩაუვლია და,

2. ჩვენი მოჭიდავეები მენდელეევის პერიოდულ სისტემაში ყველაზე დიდ პატივს, თურმე, კეთილშობილურ ლითონს — ოქროს სცემენ.

რაში გამოიხატება ეს პატივისცემა? ეს ნიშნავს: ზ. შეყრილაძის, ზ. ბერიაშვილის, გ. საღარაძისა და შ. ლომიძის ოქროს მედლებს თავისუფალ ჭიდაობაში, ლ. კაციაშვილის, გ. გამილაღდიშვილისა და ა. ქიბროწაშვილის ოქროს მედლებს სამბოში, დ. გვანცელაძისა და თ. მაჭავარიანის ოქროს მედლებს კლასიკურ ჭიდაობაში.

„ლელოს" სპორტული განყოფილების გამგე ნ. ბუბუშვილი შეხვდა კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს გ. ქარტოზიას და ესაუბრა მას. ვბეჭდავთ ამ საუბარს.

**„ლელო" ინტერვიუ**

● **როგორ აფასებთ საქართველოს მოჭიდავეთა ასპარეზობას საკავშირო პირველობებში?**

— სეზონის შედეგები ჩემს განსაკუთრებულ კომენტარს არ საჭიროებს. მოჭიდავეებმა რესპუბლიკის სპორტულ წარმატებებში ტრადიციულად შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი.

● **რას იტყვით თქვენს უშუალო „ქვეშევრდომებზე" — კლასიკოსებზე?**

— ადრე აქ უდავოდ შეინიშნებოდა ერთგვარი კრიზისი, მაგრამ ახლა საქმე გაუმჯობესებისკენ მიდის. ნუ დაივიწყებთ, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატში ჩვენ ოქროს 2 მედალი დავიმსახურეთ. თანაც, 1 „ოქრო" ნაღდად დავკარგეთ: რ. რურუამ მეხიკოდან ჩამოსვლა დააგვიანა და ლენინაკანის ტურნირში მონაწილეობა ვერ შეძლო.

● **რას გულისხმობთ „გაუმჯობესებაში": ჩემპიონთა რიცხვს, თუ სხვა რამეს?**

— მთავარი აქ ის მგონია, რომ ნაკრების წევრთა წვრთნა ბოლო დროს უფრო სრულფასოვანი გავხადეთ. კლასიკოსთა მზადებას საფუძვლად უდევს სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში მონაწილეობა. ყველა მოჭიდავე დეტალურად გვყავს შესწავლილი და ვარჯიშის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას მათ ნაკლოვანებათა გამოსწორებას ვაქცევთ. ზოგიერთ წონით კატეგორიაში რამდენიმე სრულფასოვანი კანდიდატი გვყავს. ეს კი მოჭიდავეთა შორის ჯანსაღი მეტოქეობის ატმოსფეროს ქმნის.

● **ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოს მოჭიდავეებს თავიანთი უნარი არ ამოუწურავთ და წინსვლის შედეგები სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაში გამოჩნდება?**

— პირველ ყოვლისა უნდა მოგახსენოთ, რომ საკავშირო ჩემპიონატებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების XII (მოზრდილებში) და X (ჭაბუკებში) ადგილები შემთხვევითად მიმაჩნია. დარწმუნებული ვარ, საიუბილეო სპარტაკიადაში გაცილებით უკეთეს შედეგს მივაღწევთ. ამის პირველი ნიშანი ახალგაზრდა ათლეტთა საკავშირო ჩემპიონატმა მოგვცა, სადაც ჩვენებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

● **თქვენ, როგორც უფროსი მწვრთნელი, ქართველ მოჭიდავეებს თან ახლდით სვერდლოვსკსა და ლენინაკანში. რა იყო ყველაზე მოულოდნელი და სასიხარულო ამ ტურნირებში?**

— საშუალო წონის ათლეტთა ბრძოლის შედეგი. ამ წონაში 4 ქართველი მოჭიდავე გამოდიოდა. იყვნენ ახალბედებიც (მაჭავარიანი და ტყემალაძე) და ფავორიტებიც (ბლიაძე და ღუდუნიშვილი). ოქროს მედლისთვის მათ გარდა იბრძოდნენ: სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონი ოლეინიკი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბოგდანასი, მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი კიროვი. როგორც ხედავთ, I ადგილისთვის მებრძოლთა ჯგუფს „ჩინ-მედლები" არ აკლდა. და აი, ასეთ „უსიამოვნო გარემოცვაში" თ. მაჭავარიანმა I ადგილი დაისაკუთრა.

● **რამ განაპირობა ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენის გამარჯვება?**

— ახალი ჩემპიონის ძალა, ჩემი აზრით, მის მტკიცე ნებისყოფასა და ოპტიმიზმშია. სვერდლოვსკში თ. მაჭავარიანი შეუპოვარი, თავისებურად ეშმაკი და ბრაზიანი იყო. ისე კი ჩემპიონი წყნარი, თავმდაბალი და მორიდებული ახალგაზრდაა და მომავალიც წინა აქვს.

● **რას იტყვით საშუალო წონის სხვა ქართველ ფავორიტებზე?**

— ღუდუნიშვილმა ფეხი იტკინა, ხოლო ბლიაძემ თავის უნარზე სუსტად იჭიდავა. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი იყო მისი მარცხი იურკევიჩთან, რომელთანაც ადრე რამდენიმე შეხვედრა აქვს მოგებული. ბლიაძემ ეს მისთვის მეტად საჭირო ბრძოლა ტაქტიკური უზუსტობის გამო წააგო.

● **რამდენიმე სიტყვა ჩვენს უკვე გამოცდილ ჩემპიონზე დავით გვანცელაძეზე.**

— გვანცელაძისთვის ეს პირველი გამარჯვება როდია. ასე რომ, მისი ოქროს მედალი, ასე ვთქვათ, წინასწარ იყო დაგეგმილი. სვერდლოვსკში იგი გონივრულად და რაციონალურად ჭიდაობდა: თუ მოგებისთვის საჭირო იყო რისკი, გაბედულად ართულებდა ბრძოლას, თუ არა — მეთოდურად მიიწევდა ფინიშისკენ. გვანცელაძე ჭიდაობისთვისაა დაბადებული, იგი ზუსტად უღებს ალღოს მეტოქეს და უჩვეულოდ მგრძნობიარეა. მის წარმატებას სწორედ ამ თვისებებმა შეუწყო ხელი.

● **როგორც ჩანს, ჩვენთვის სვერდლოვსკი უფრო იღბლიანი გამოდგა, ვიდრე ლენინაკანი.**

— რა თქმა უნდა, სვერდლოვსკში ჩვენი „მოსწრება" 50-პროცენტიანი იყო (4-დან 2 ჩემპიონი), ლენინაკანში კი, უბრალოდ რომ ვთქვათ, სუსტად გამოვედით. შეიძლება ამაში ქალაქის გეოგრაფიული თავისებურებაცაა დამნაშავე: ლენინაკანიც ხომ ჟანგბადის უკმარობითაა ცნობილი მეხიკოს მსგავსად. თუმცა ეს უკვე ჩვენი, სპორტსმენების მსჯელობის სფერო არ არის, იგი ექიმთა და მეცნიერთა დისკუსიის საგანი გახლავთ.



დ. გვანცელაძე.



თ. მაჭავარიანი.

# წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით საქართველოს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ქართულ ჭიდაობაში** — ბ. მარიდაშვილს, შ. ფიცხელაურს, ა. ზურაბაულს (სამივე — თბილისის „ბურევესტნიკი"), ვ. ბორჩაშვილს, ს. მაისურაძეს, გ. ბეინაშვილს, ი. ჭუხრუკიძეს (ყველა — გორის „ბურევესტნიკი"), ი. ნატრიაშვილს (გორის „განთიადი").

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **ცურვაში** — ლ. მაღლანიას (სოხუმის „დინამო"), მ. ზამბახიძეს, გ. კასატკინს (ორივე — თბილისის „დინამო"), ი. ეფიმოვას (თბილისი, განათლების სამინისტრო); **კრივში** — ს. გოცულს, ს. ჩიქოვანს, ნ. კირთაძეს (სამივე — თბილისის „დინამო"), ა. ნიკოლაძეს (ქუთაისის „სპარტაკი"); **ძალოსნობაში** — ი. ყუბანეიშვილს (ქუთაისის „განთიადი"); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ა. მენაბდიშვილს (რუსთავის „განთიადი"), გ. ფურცელაძეს, ნ. სეფაშვილს (ორივე — თბილისის „ბურევესტნიკი"); **სამბოში** — ზ. კვანჭიანს, ქ. შიოშვილს, გ. ლუხუტაშვილს (სამივე — თბილისის „ბურევესტნიკი"), ი. კლდიაშვილს (გორის „ბურევესტნიკი"); **ნიჩბოსნობაში** — ვ. შოხინას, პ. ოკონაშვილს, ნ. შეპელევს, ვ. კომაროვს, ი. მელნიკოვს (ყველა — მცხეთის „ლოკომოტივი"); **თანამედროვე ხუთჭიდში** — ვ. ტოლოჩკოს (სოხუმის „დინამო"); **სასტენდო სროლაში** — ნ. ჯანაშიას (თბილისის მონკავშირი).

# წლევანდელი

ყოველი წლის დამლევს სპორტულ ჟურნალისტებსა და სხვადასხვა რედაქციას შორის ტარდება რეფერენდუმი, რომლის მიზანია საუკეთესო სპორტსმენების გამოვლენა.

წლეულს უძლიერესთა ათეულის დადგენა ჩვეულებრივზე ერთი თვით ადრე შეიძლება, ვინაიდან ნოემბრის დამდეგს ოფიციალური საერთაშორისო პირველობათა კალენდარი, ფაქტიურად, ამოიწურა. შედეგები სასიხარულოა. 90-მდე საბჭოთა სპორტსმენმა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა, 100-ზე მეტმა კი — ევროპული მნიშვნელობის ჯილდოები.

ვისი შედეგია საუკეთესო, ან ვისი მედალია უფრო „ბრწყინვალე?" ეს კითხვა დღეს ყველას აინტერესებს. სხვათა შორის, მასზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია, ვინაიდან მაჩვენებლები სპორტის სხვადასხვა სახეობაში არითმეტიკულ შეფარდებას არ ემორჩილება, თუმცა, მაინც არსებობს ობიექტური კრიტერიუმი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს კლასიფიკაციას.

პირველი და მთავარი პირობაა შედეგთა სტაბილურობა. ჩემპიონთა შორის უპირატესობა მას უნდა მიენიჭოს, ვინც ხანგრძლივად და სისტემატურად აჩვენებდა მაღალ, საერთაშორისო კლასის შედეგს და იმარჯვებდა არა მარტო შინ, არამედ გარეთაც. ჩემი აზრით, სწორედ ეს გახლავთ ზემოხსენებული ობიექტური მაჩვენებელი და თუ ამ მეთოდითაც ვერ გამოვლინდა საუკეთესო, პირველობა მას უნდა მივაკუთვნოთ, ვისი წარმატებაც უფრო ეფექტური და შთამბეჭდავი იყო.

1966 წლის ყველაზე დიდი სენსაცია ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატში 17 წლის ლენინგრადელი გოგონას ნ. კუჩინსკაიას გამოსვლა გახლდათ. ნატაშამდე ტანვარჯიშის ისტორია ასეთ ახალგაზრდა ჩემპიონს არ იცნობდა. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ლენინგრადელმა გოგონამ ამ მხრივ მრავალი წლის ტრადიცია დაარღვია. ამასთან, ნუ დაივიწყებთ, რომ კუჩინსკაიამ ოქროს 3 მედალი მსოფლიოს უძლიერეს ტანმოვარჯიშესთან ვ. ჩასლავსკასთან დაძაბულ და დრამატულ ორთაბრძოლაში მოიპოვა.

ახალგაზრდა ტალანტთა მოზღვავება მარტო ტანმოვარჯიშე ქალებში როდი იგრძნობოდა. არც ვაჟებს ჰყოლიათ ოდესმე 21 წლის მსოფლიო ჩემპიონი. მოსკოველმა მ. ვორონინმა კი სწორედ ამ ასაკში მოიპოვა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი რგოლებზე ვარჯიშში.

წლევანდელი სეზონი ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულეს ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ციგურებით სრიალში თავიანთი ჯილდოების კოლექციას ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონების მედლებიც დაუმატეს. ლიუდმილა და ოლეგი „ყინულის ბალეტის" განუმეორებელ წყვილად არიან მიჩნეული.

სსრ კავშირის ჰოკეისტებმა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს მსოფლიო პირველობა, მაგრამ ამ დიდ წარმატებაში ნაკრების ყველა წევრმა ერთნაირი წვლილი როდი შეიტანა. სწორედ ამიტომ, უძლიერესთა სიის კანდიდატებად ის მიმაჩნია, ვინც გასულ სეზონში ჰოკეის დიდოსტატად გაგვაცნო თავი. ისინი სამნი არიან: კ. ლოკტევი ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ სპეციალური პრიზით დააჯილდოვა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ფეხბურთის პრიზები

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ყველაზე დიდი პრიზია ოქროს მედლები, რომლებითაც ჯილდოვდებიან I ადგილის მფლობელი გუნდის წევრები.

მაგრამ ამ ჯილდოს გარდა, როგორც ცნობილია, არის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთისა და ორგანიზაციის მიერ საგანგებოდ დაწესებული პრიზები, რომლებიც გადაეცემა როგორც მთლიანად კოლექტივებს, ისე ცალკეულ ფეხბურთელებს.

წლევანდელი ჩემპიონატი სულ მალე დამთავრდება და ყველა პრიზი თავის მფლობელს იპოვნის. საინტერესოა, რა მდგომარეობაა ახლა ჯილდოების პრეტენდენტთა შორის?

## საუკეთესო სნაიპერს

პრიზი დაწესებულია გაზეთ „ტრუდის" მიერ ფეხბურთელისთვის, რომელიც „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებში ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს.

სადღეისოდ I ადგილზეა კიევის „დინამოს" თავდამსხმელი ა. ბიშოვეცი, რომლის ანგარიშზე ირიცხება 19 გოლი. მისი მთავარი მეტოქეა თბილისელი ი. დათუნაშვილი — 17 ბურთი.

## გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი

გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი გადაეცემა ჩემპიონატის ყველაზე შედეგიან გუნდს.

კიევის დინამოელებმა 32 ტურში გაიტანეს 62 ბურთი. ჯერჯერობით ეს საუკეთესო მაჩვენებელია. II ადგილზეა ცსკა, რომლის აქტივშია 59 გოლი. მოსკოველებს აქვთ შესაძლებლობა გაუსწრონ კიევის „დინამოს", მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათ სათამაშო დარჩათ სულ 2 მატჩი, ჩემპიონს კი — 4.

## სწრაფვა გამარჯვებისკენ

ეს საინტერესო პრიზი დააწესა გაზეთმა „სოვეტსკაია როსიამ". მიიღებს მას გუნდი, რომელიც მოიგებს ყველაზე მეტ მატჩს, სადაც თავდაპირველად დაწინაურდა მოწინააღმდეგე.

ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ალმა-ათის „კაირატს", მოსკოვის „ლოკომოტივს", როსტოვის არმიელთა გუნდს, „ზენიტს", „სპარტაკს", „ტორპედოს" (მოსკოვი) და „ნეფტიანიკს".

## საუკეთესო სხვაობისთვის

უკრაინის სპორტულ ჟურნალ „სტარტის" პრიზით დაჯილდოვდება გუნდი (სულ ერთია, იქნება ეს „ა" კლასის I თუ II ჯგუფისა), რომელსაც ექნება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა.

სსრ კავშირის ჩემპიონს — კიევის „დინამოს" ეს მაჩვენებელი შესანიშნავი აქვს: 48, და პრაქტიკულად შეუძლებელია პრიზში მას ვინმე შეეცილოს, ვინაიდან მომდევნო ადგილებზე მყოფი კრასნოდარის „კუბანისა" და ივანოვოს „ტექსტილშჩიკის" მაჩვენებლებია შესაბამისად +27 და +26, მათ კი დიდი ხანია დაამთავრეს გათამაშება. „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებიდან კიეველთა შემდეგ საუკეთესო შედეგი აქვს ბაქოს „ნეფტიანიკს" (+25), რომელსაც სათამაშო დარჩა სულ 2 მატჩი

## აგრესიული სტუმრის პრიზი

გუნდი, რომელიც მეტოქეთა მინდვრებზე მოიგებს ყველაზე მეტ შეხვედრას, დაჯილდოვდება უკრაინის გაზეთ „კომსომოლსკოე ზნამიას" პრიზით.

მხოლოდ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს" არა აქვს მოგებული არც ერთი ასეთი მატჩი. პრიზის მიღების ყველაზე მეტი შანსი აქვთ მოსკოვისა და როსტოვის არმიელებს (9-9 გამარჯვება), მოსკოვის „ტორპედოს" (8) და კიევის „დინამოს" (7).

## ორი შემადგენლობის ჯამში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია სპეციალური პრიზით აჯილდოებს იმ კლუბს, ვისაც ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა ჯამში ექნება საუკეთესო მაჩვენებელი.

I ადგილზე 91 ქულით არიან კიეველები (51 ქულა ძირითად შემადგენლობას, 40 — დუბლიორებს), შემდეგ მოდიან: ცსკა — 81 ქულა (40+41), როსტოვის ასკ — 80 (47+33), მოსკოვის „დინამო" — 80 (37+43) და თბილისის „დინამო" — 77 (36+41).

## დიდი ანგარიშით

ყოველკვირეული დამატება „ფეხბოლი" თავისი პრიზით აჯილდოებს გუნდს, რომელიც ყველაზე მეტ მატჩს მოიგებს დიდი ანგარიშით (3 და მეტი ბურთის სხვაობით).

გათამაშება არ დამთავრებულა, პრიზს კი პრაქტიკულად უკვე ჰყავს მფლობელი. ესაა კიევის „დინამო" — 9 გამარჯვება. მას უკვე ველარავინ დაეწევა, ვინაიდან მოსკოვის „ტორპედოს" მოგებული აქვს 5 მატჩი დიდი ანგარიშით, მარაგში გუნდს კი მხოლოდ 3 შეხვედრა დარჩა.

## კორექტული თამაშისთვის

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" რედაქციამ დააწესა პრიზი ყველაზე კორექტული, დისციპლინიანი კლუბისთვის (მხედველობაში მიიღება როგორც ძირითადი, ისე სათადარიგო გუნდის მაჩვენებლები).

ოდესის „ჩერნომორეცს" აქვს სულ 2 გაძევება და 4 გაფრთხილება. ეს ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებელია.

## საუკეთესო დუბლიორებს

უკვე 20 წელია დუბლიორთა შორის გამარჯვებულთ გადაეცემა სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრიზი.

მოსკოვისა და მინსკის „დინამოს" დუბლიორებს აქვთ 43 ქულა თვითეულს, თბილისის „დინამოსა" და ცსკა-ს — 41-41.

## „თბილისის" პრიზი

გაზეთ „თბილისის" რედაქციამ დააწესა პრიზი ფეხბურთელისთვის, რომელიც ერთ მატჩში გაიტანს ყველაზე მეტ ბურთს.

პრიზის მთავარი პრეტენდენტია თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი ი. დათუნაშვილი, რომელმაც ერევნის „არარატთან" შეხვედრაში გაიტანა 5 გოლი.



# გორელი მოკრივეები

### ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

ძველად, ყოველ ყველიერის კვირაში გორში, სობოროს ქუჩაზე კრივი იმართებოდა. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ გორის ქვემო და ზემო უბნები, მკლავის ძალასა და ოსტატობას, სისწრაფეს, გამძლეობასა და ვაჟკაცობას ცდიდნენ ცნობილი გორელი ფალავნები. მუშტის დარტყმა მხოლოდ მკერდსა და ფერდებში შეიძლებოდა, თავ-პირს ერიდებოდნენ, წელსქვევით დარტყმა კი, თუნდაც უნებლიე, ხომ სულ სამარცხვინოდ იყო მიჩნეული.

კრივს ჯერ პატარები ვიწყებდით, შემდეგ ჭაბუკები შეგვცვლიდნენ, ბოლოს კი ასპარეზი ფალავნებს რჩებოდათ. გამარჯვებულები დამარცხებულებს გააქცევდნენ, მაგრამ აღარ დაედევნებოდნენ, ხელს აღარ ახლებდნენ.

ეს სურათი გადაღებულია გორში, 1896 წელს, ყეენობის შემდეგ. ყეენობაში მოკრივეებიც მონაწილეობდნენ. ამ სანახაობის მომსწრე რამდენიმე მაყურებელმა ვიცანით სურათზე ზოგი ფალავანი.

გიორგი ლეონიძემ ზედმიწევნით აღწერა გორელთა კრივი და რამდენიმე იქაური ფალავანიც მოიხსენია.

„ყველიერის კვირა დამდგარა, ხმაურობს
დუქან-ბაზარი,
ხალხია მოზღვავებული, სადაც დგას გორის
ტაძარი...

. . . . . . . . . . . . . .

ძმური ჩხუბია,—კრივია გულგაკვერილი ვაჟების.
ხმალმომშეულებს გამოაქვთ გასაშინჯავად
მაჯები".

ვინ იყვნენ ეს მაშინდელი ფალავნები?

„გლადკა მედროგეს შემოჰკრეს ზომაზე გადაჭარბებით",— წერს პოეტი.

„გლადკა მედროგე" (სურათზე—1) ცნობილი მოკრივე იყო, მუდამ მოკლე, ვიწრო, სადა („გლადკი") ახალუხში გამოწყობილი, წელგამართული იდგა ხოლმე გაქანებულ დროგზე. სწორედ ამიტომ ეძახდნენ გლადკა მედროგეს.

„ჭირიმე შენი „ხოდელო", ეგრე დაუხვდი
წინასა!
შენი ამბავი რომ ვიცი, მუშტით გაამტვრევ
რკინასა!"

სოსო ხოდელი (2) ჩვეულებრივ დინჯი კაცი იყო, კრივში კი მეტად მოძრავი და მკლავმაგარი ფალავანი.

„ზემოურებმა იქუხეს, ქვემონი ჩამოაწვინეს,
ქვემოუბნელთა რაზმები საზღვარზე
გადმოაცილეს.
მოულოდნელად შეჩერდნენ... რას ჩადის მხარე
ძლეული?
„ხორველა" ბიჭი წინ დახვდათ,
სახელოვგადაწეული".

„ხორველა" (3) მოდისო, რომ გაიგონებდნენ, ქვემოუბნელები მაშინვე „კედელს" მოაწყობდნენ. უკვე თითქმის გამარჯვებულ ზემოუბნელებს უკან ახევინებდნენ. „ხორველას" კალატოზ გიგა შევარდენიძეს ვეძახდით.

„აფთარია — „გოჭი-ბიჭი", ამირანის ნათესავი,
გაუბრუნა მტერს ნაბიჯი, თვითონ ჩადგა ვით
კლდე-სალი!"

„გოჭი-ბიჭი" (4) სირაჯი ვასო ზაზუნაშვილი იყო, სხვებივით ტანსრული არა, მაგრამ აფთარივით მარდი და მოძრავი.

„— შენი ჭირიმე „ფთიანო", დაჰკარ, არ
დააგვიანო!
კაცს ჩინჩხვარივით დალეწავ,
მშვიდობა-გუნებიანო!".

„ფთიანს" (5) ეძახდნენ სირაჯ ვასო ტატუნაშვილს, რომელიც ისე გადაემვებოდა ჭიდილში, თითქო ფრთები ასხიაო. „ფთიანიც" ამიტომ შეარქვეს.

მე-6 და მე-7 ნეფე-დედოფალი გახლდათ, ხოლო მე-8 — მეალმე, რომელიც წინ უძღოდა მათ, მაყურებლებში „ხარკსა" ჰკრეფდა და შემდეგ ძმურ პურ-მარილს მართავდნენ ხოლმე. შიშველი ყეენი („გიჟლუკა", სურათზე — 9) ვირზე იჯდა, უკან მეალმე მისდევდა, ბატის ფრთას ვირის კუდქვეშ („სამელნეში") აწებდა და ვითომ დავთარში იწერდა, ვინ და რამდენი შესწირა საარიფანოდ. მე-10 განთქმული მოკრივე ხიდისთაველი ნოღაა, ხოლო მე-11 — ცნობილი ფალავანი იაკობ მიკიტანი.

მე-12 ვასო ედილაშვილია, ხოლო მე-13 — მათი გულშემატკივარი, ამ სტრიქონების ავტორი გახლავართ.

იქნებ ხანდაზმულმა მკითხველებმა, იმ დროის მომსწრეთ, შეძლონ დანარჩენი ფალავნების ამოცნობა და მათი ვინაობის დადგენა...

ერეკლე ლუკაშვილი.

## ა. ქიბროწაშვილისა და მისი ამხანაგების მიღწევა

## საბჭოთა ფრენბურთელების გამარჯვებანი

## 4 : 3

## ახალი ამბები

● **პარიზი, 18 ნოემბერი.** საბჭოთა პროფკავშირების ძიუდოისტთა გუნდმა, რომელშიც შედიოდნენ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, გორელი ა. ქიბროწაშვილი, მოსკოველი ვ. ბუტორინი, კიშინიოველები ფ. ასლანიდისი და ვ. უსიკი, დაამთავრა თავისი ტურნე საფრანგეთში. სტუმრებმა ხუთივე შეხვედრა მოუგეს ამ ქვეყნის მუშათა სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის მოჭიდავეებს საერთო ანგარიშით 18:2.

● **ლილი, 18 ნოემბერი.** ცსკა-ს ფრენბურთელმა ვაჟებმა აქ დაამარცხეს ინდოეთის ნაკრები—3:0 (15:13, 15:13, 15:10). სპორტული პრესა განსაკუთრებით გამოყოფს მონძოლევსკის, ვოსკობოინიკოვის, ბურობინისა და სიბირიაკოვის, ხოლო მასპინძელთაგან — გუნდის კაპიტნის გოპალის თამაშს. ცსკა-ს ფრენბურთელები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში კიდევ 5 მატჩს გამართავენ.

● **პრაღა, 18 ნოემბერი.** საბჭოთა ფრენბურთელმა ვაჟებმა, რომლებიც სტუდენტთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოდიან „17 ნოემბრის თასზე", მოუგეს პოლონეთის ნაკრებს — 3:2.

● **პლოეშტი, 18 ნოემბერი.** რუმინეთის ამ ქალაქში ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:3 (2:0).

# ლაურეატობის კანდიდატები

გორც მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელი; ჩემპიონატის უძლიერესი მცველის სახელი ა. რაგულინმა დაიმსახურა, ხოლო ყველაზე შედეგიანი სნაიპერი ბ. ალექსანდროვი იყო.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მსოფლიოს ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში, მოსკოველ ა. ივანიცკის, რომელმაც მეოთხედ მოიპოვა ეს მაღალი ტიტული.

მესამე წელია მაღალი შედეგებით გვახარებს ოლიმპიური ჩემპიონი, ხევასტოპოლელი გ. პროზუმენშჩიკოვა. მან არაერთი და ორი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა ბრასის სტილით ცურვაში, მაგრამ იმას, რასაც 17 წლის გოგონამ ევროპის პირველობაზე მიაღწია, ბევრი სპეციალისტი ვერც კი წარმოიდგენდა. გალინამ 200 მეტრზე 2.40,8 აჩვენა, რაც ვაჟებსაც კი შეშურდებათ.

და, ბოლოს, რამდენიმე სიტყვა ჩვენს „ჰერკულესებზე", რომელთა გმირობის ამბავმა სამყარო აალაპარაკა. ბერლინში, ძალოსანთა მსოფლიო პირველობაზე, საბჭოთა სპორტსმენებმა შვიდიდან ოქროს 5 მედალი მოიპოვეს, მაგრამ გამარჯვებულთა შორის იყვნენ ნამდვილი გმირები. აი, ერთ-ერთი მათგანი — კიეველი ვ. ბელიაევი, რომელიც ჟიურიმ და ჩემპიონატში აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო ძალოსნად აღიარეს.

საშუალო წონის ათლეტთა ასპარეზობა მეტად დრამატულად წარიმართა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, უნგრელმა დ. ვერეშმა გამოსვლა მსოფლიოს 2 რეკორდით დაასრულა. უნგრელის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა და მხოლოდ სასწაულს შეეძლო წარმატების ხასწორი ბელიაევის სასარგებლოდ გადაეხარა. ეს სასწაულიც მოხდა: ბელიაევმა მისი წონისათვის ფანტასტიური სიმძიმე აწია — 190 კგ. ასეთი გამარჯვება ქვემძიმე წონის არც ერთ ათლეტს არ დასიზმრებია. ასეთ სიმძიმეს მძიმე წონაში გამარჯვების პრეტენდენტთა ნახევარიც კი ვერ იმორჩილებს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი ბელიაევზე, სულ ცოტა, 3–4 ფუთით მეტს იწონის.

იგივე გამეორდა ხაბაროვსკელი ვ. კურენცოვისა და ოლიმპიური ჩემპიონის, პოლონელი ვ. ბაშანოვსკის ორთაბრძოლაშიც. პოლონელის გამარჯვება ეჭვმიუტანელი გახლდათ. მაგრამ, როცა ოქროს მედლის საკითხი თითქმის გადაწყდა, კურენცოვმა თავდაყირა დააყენა ყველა პროგნოზი და აკვრაში 182-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა. ჩემპიონთა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური ვიქტორმა დაიკავა.

მხოლოდ ქებას იმსახურებს მოსკოველი ე. კაცურა. მან თანაგუნდელებივით ჩემპიონის მედალი მოიპოვა და ბრწყინვალე შედეგები აჩვენა არა მარტო მრავალჭიდის ცალკეულ სახეობაში, არამედ მათ ჯამშიც.

აი, ობიექტური მონაცემები იმ სპორტსმენებისა, რომლებიც, ჩემი აზრით, სათავეში უნდა ჩაუდგნენ სსრ კავშირის 1966 წლის უძლიერეს სპორტსმენთა სიას.

გ. ელენსკი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი,
გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" სპორტული მიმომხილველი.



# რ. ფიშერის მარცხი

ქამანა, 18 ნოემბერი. მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარი ფინალური ტურნირის ბოლოსწინა, XII ტურში, საბჭოთა სპორტსმენები, როგორც ცნობილია, არგენტინელებს შეხვდნენ. პირველ დაფაზე მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი დიდოსტატ მ. ნაიდორფს შეხვდა და უკვე დებიუტში შესანიშნავი პოზიცია მიიღო. შემდგომში იგი მეთოდურად აძლიერებდა თავის უპირატესობას და მეტოქის წინაშე სულ უფრო რთულ პრობლემებს აყენებდა. გადამწყვეტ მომენტში ნაიდორფი შეცდა და სწრაფად დამარცხდა.

მეორე ქულა გუნდს შესძინა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა. მისმა მეტოქემ — დიდოსტატმა ი. ბოლბოჩანმა შავებით სიცილიური დაცვა აირჩია. არგენტინელმა ვერ გაუძლო მეტოქის მუქარებს და უძლიერეს შეტევაში მოჰყვა. პარტიის დასკვნითი ნაწილი ტალმა მისთვის დამახასიათებელი ენერგიითა და გამომგონებლობით ჩაატარა და ეფექტურად გაიმარჯვა.

მშვიდად მიმდინარეობდა ო. პანო — ბ. სპასკის შეხვედრა, რომელიც სწრაფი ყაიმით დასრულდა. უფრო რთული ამოცანის გადაწყვეტა მოუწია ლ. პოლუგაევსკის რ. სანგინეტისთან ბრძოლაში. ძლიერ ორმხრივ ცაიტნოტში არგენტინელი ფორსირებული მოგების მიზნით კუს შეწირვაზე წავიდა. პოლუგაევსკიმ მშვიდად მიიღო შეწირვა და თეთრების პირდაპირი შეტევა მოიგერია. თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება სანგინეტიმ ვერ შეძლო და სვლების სამგზის გამეორების გამო პარტია ყაიმით დასრულდა.

ტურის სენსაცია იყო რ. ფიშერის პირველი მარცხი. ახალგაზრდა რუმინელმა დიდოსტატმა ფ. გეორგიუმ მძაფრ ბრძოლაში სძლია ამერიკელს. შეხვედრის მონაწილეთა აშშ — რუმინეთის მატჩში ანგარიში იყო 1,5:1,5 (1 პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში).

XII ტურის დანარჩენ მატჩებში ანგარიში ასეთია: უნგრეთი — გდრ 2,5:1,5, ჩეხოსლოვაკია — კუბა 1:1 (2 პარტია გადადებულია), ბულგარეთი — დანია 2:1 (1), იუგოსლავია—ესპანეთი 2:0 (2), ისლანდია — ნორვეგია 1,5:1,5 (1).

ბოლო ტურის წინ მოწინავე გუნდების მდგომარეობა შემდეგია: სსრ კავშირი — 36 ქულა, აშშ — 31 (1), უნგრეთი — 31, იუგოსლავია — 29 (2), არგენტინა — 27,5.

## საფეხბურთო მოზაიკა

◆

### „უემბლის" გამოცანა

დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა" 1000 მარკა (თითქმის 300 დოლარი) აღუთქვა მას, ვინც რედაქციას გაუგზავნიდა იმის დამადასტურებელ ფოტოსურათს, რომ ინგლისისა და გფრ-ის გუნდების მატჩის მე-100 წუთზე მეტოქის კარისკენ ჰერსტის გაგზავნილი ბურთი კარის ხაზს იქით დაეცა.

კარგა ხნის მერე „კიკერმა" ათობით ფოტოსურათი გამოაქვეყნა. ამ სურათების მიხედვით... ბურთი კარის ხაზს არ გადასცდენია. თუმცა, დაბეჯითებით ვერც ამას ამტკიცებს ვინმე.

სურათზე: გფრ-ის ნაკრების ფეხბურთელები დაობენ გატანილი ბურთის თაობაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა, (ჩვენი სპეც. კორ.).

### ერერა აქებს „ტორპედოს"

„ინტერნაციონალეს" მწვრთნელი ე. ერერა ყურადღებით ადევნებდა თვალს ინგლისის ჩემპიონატს და ნახა სსრ კავშირისა და იტალიის გუნდების შეხვედრა (1:0) იგი ირწმუნება, რომ მოსკოვის „ტორპედო" გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე საბჭოთა ნაკრები. „ტორპედო" საუცხოოდაა შეთამაშებული და შესანიშნავი რიტმი აქვს". — თქვა ერერამ.

### რივერა II

17 წლის მაურო რივერას გამოსვლა ლომბარდიის საოლქო ლიგის ნამდვილი სენსაცია იყო. რივერა II სახელგანთქმული ჯანი რივერას უმცროსი ძმაა და ისიც თავდასხმაში თამაშობს.

### ჩემპიონატი და სტატისტიკა

მსოფლიოს VIII ჩემპიონატი ახლა სტატისტიკოსთა მსჯელობის საგნად იქცა. უკვე ცნობილია, რომ 6 მატჩის მონაწილე ინგლისის გუნდმა 151-ჯერ დაარტყა მეტოქის კარში. ამ მხრივ იგი მხოლოდ პორტუგალიას ჩამორჩა (154 დარტყმა). ექვს მატჩში გერმანელებს 142-ჯერ დაურტყამთ, საბჭოთა ფეხბურთელებს კი — 103-ჯერ. იმ გუნდებიდან, მხოლოდ 4 მატჩი რომ ითამაშეს, პირველობენ უნგრელები — 104 დარტყმა, შემდეგ მოდიან ურუგვაის (76), არგენტინის (59) და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის (52) კოლექტივები.

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ფეხბურთი

### კოპას გუნდმა მოიგო

საფრანგეთის ჩემპიონატის XVI ტურში წარმატებით ითამაშა „სენტ-ეტიენმა", რომელმაც შინ დაამარცხა „ნიმი" (3:1) და ახლა იგი მხოლოდ „ნანტს" ჩამორჩება. რეიმსში I ლიგის ახალბედამ — ამავე სახელწოდების ადგილობრივმა გუნდმა მოუგო პარიზის „სტად ფრანსეს" — 1:0. ეს ერთადერთი გოლი მე-15 წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმოდან გაიტანა კოპამ. პარიზელთა შორის გამოირჩეოდა ცნობილი ბრაზილიელი თავდამსხმელი აირტონი, რომლისთვისაც ეს იყო პირველი მატჩი საფრანგეთის ჩემპიონატში.

საუკეთესო სნაიპერთა სიას 13 გოლით კვლავ ლიდერობს ჟ. ლეში („ლანი").

აი, პირველი ხუთეულიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ნანტი" | 15 | 38 : 22 | 22 |
| „სენტ-ეტიენი" | 15 | 24 : 16 | 20 |
| „ლანი" | 15 | 30 : 21 | 19 |
| „ანჟე" | 15 | 29 : 20 | 17 |
| „ლიონი" | 16 | 24 : 25 | 17 |

### ახალგაზრდობამ თავისი თქვა

დამთავრდა შვეციის ჩემპიონატი. უძლიერესი გუნდის წოდება მოიპოვა სტოკჰოლმის „იურგორდენმა", რომელსაც წვრთნის ტ. ლინდბერგი. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონის შემადგენლობაში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი (კარლსონი, გუმერსონი, სიობერგი, გრანკვისტი) თამაშობს, რომლებიც მწვრთნელმა წლევანდელ სეზონში დააწინაურა. სწორედ ამ ახალგაზრდობის თამაში მიაჩნია შვეციის სპორტულ პრესას „იურგორდენის" წარმატების მთავარ მიზეზად.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „იურგორდენი" | 22 | 46:17 | 33 |
| „იფკ ნორჩეპინგი" | 22 | 53:24 | 29 |
| „ელფსბორგი" | 22 | 40:26 | 29 |
| „იფკ გეტებორგი" | 22 | 44:34 | 29 |
| „აიკ სტოკჰოლმი" | 22 | 36:26 | 27 |
| „ერგრიტე" (გეტებ.) | 22 | 45:40 | 23 |
| „ერებრო" | 22 | 42:44 | 20 |
| „გაის გეტებორგი" | 22 | 19:27 | 20 |
| „მალმე" | 22 | 32:34 | 19 |
| „ჰელსინგბორგი" | 22 | 28:46 | 17 |
| „ბრაგე" | 22 | 23:53 | 11 |
| „დეგერფორსი" | 22 | 21:58 | 7 |

## ინდოელთა ნარმატება

დელი. აქ გაიმართა საზონათშორისო ფინალური მატჩი დევისის თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ აზიის ზონაში გამარჯვებული ინდოეთის ნაკრები და ევროპის ზონის „ბ" ჯგუფში უძლიერესი — გფრ-ის ჩოგბურთელთა გუნდი.

თავდაპირველად ჩატარდა ერთეულთა შეხვედრები. იმარჯვეს ინდოელებმა: რ. კრიშნანმა დაამარცხა ვ. ბუნგერტი — 7:5, 7:5, 6:4, ჯ. მუკერჯიმ — ი. ბუდინგი — 2:6, 7:5, 6:3, 6:4. წყვილთა ასპარეზობაში ბუნგერტმა და ბუდინგმა (გფრ) მოუგეს მუკერჯისა და პ. ლალს —6:1, 10:8, 6:4. შემდეგ გაიმართა 2 შეხვედრა ერთეულთა თანრიგში. თითო მატჩი მოიგეს მუკერჯიმ (ბუნგერტთან — 4:6, 8:6, 8:6, 6:3) და ბუდინგმა (ლალთან — 4:6, 6:3, 3:6, 6:1, 6:4).

მატჩის საბოლოო ანგარიშია 3:2 ინდოეთის ნაკრების სასარგებლოდ.

## ბიწევზე გადარჩა

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. რამდენიმე მსოფლიო რეკორდის ავტორი, სახელგანთქმული ამერიკელი ავტომობილისტი არტ არფონსი ბეწვზე გადარჩა სიკვდილს, როცა მისი რეაქტიულძრავიანი მანქანა „გრინ მონსტრი" იუტას შტატში მდებარე ბონევილის ტბის გამშრალ ფსკერზე დაიმტვრა. ამ მლაშე ტბის ფსკერზე გადებული ტრასა, რომელიც ყველა მსოფლიო რეკორდის აკვნად გვევლინება, არფონსისთვის ამჯერად საბედისწერო გამოდგა. არფონსს სურდა თავისი თანამემამულე კ. ბრიდლავის მსოფლიო რეკორდის (966,573 კმ საათში) მოხსნა. მსაჯებმა მოასწრეს ერთკილომეტრიან მონაკვეთზე საათში 948,863 კმ სისწრაფის აღნუსხვა და აი, ამ მომენტში არფონსის ავტომობილმა წონასწორობა დაკარგა. გიჟურად მქროლმა მანქანამ რამდენიმეჯერ ისკუპა, გადაბრუნდა და ცეცხლოვან ბურთად იქცა. ჯიხურიდან გამოტყორცნილი არფონსი, რომელსაც ძალიან დაუშავდა გულის ფიცარი, ჰოსპიტალში მოათავსეს.

## ბრაზილიის ნაკრები... გაქრა

რიო-დე-ჟანეირო, 18 ნოემბერი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი — ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი არ მიიღებს მონაწილეობას სამხრეთ ამერიკის პირველობაში, რომელიც 13 იანვარს დაიწყება მონტევიდეოში.

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა აბილიო დე ალმეიდამ უარის მიზეზად დაასახელა ის, რომ ბრაზილიის ნაკრები ახლა ფაქტიურად არც არსებობს. არიან ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთ კლუბებში თამაშობენ და ისინიც 18 დეკემბრიდან 7 იანვრამდე, სწორედ მაშინ, როცა ჩემპიონატისადმი მზადებაა საჭირო, არდადეგებზე იქნებიან დათხოვილი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.





პოლონეთის სპორტული ნაწარმი — ყველა სპორტსმენსა და სპორტის მოყვარულს!

პოლონური ინვენტარი საუკეთესო სპორტული შედეგების თავდებია!

პოლონეთის „უნივერსალმა" თბილისის გამოფენაზე მრავალფეროვანი სპორტული ექსპონატები წარმოადგინა, კერძოდ, სატყორცნი ბირთვები, ტყავის ბურთები, ლითონის თხილამურები, მოკრივის ხელთათმანები, კომპლექტები მაგიდის ჩოგბურთისთვის, ტყავის ჩაფხუტები მოტომრბოლელთათვის, ლითონის სამკერდულები მოფარიკავეებისთვის.

პოლონურ სპორტულ ინვენტარს კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირში. პოლონური ნაწარმი გამოირჩევა მაღალი ხარისხით და სავსებით შეესაბამება მსოფლიო სტანდარტს. იგი გააქვთ მრავალ ქვეყანაში, მაგალითად, სსრ კავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში. „უნივერსალის" საქონლის რაოდენობა განუსაზღვრელია, შესყიდვის პირობები — ხელმისაწვდომი.

ნახეთ „უნივერსალის" გამოფენა თბილისში.

გამოფენა იხსნება დღეს და დაიხურება 3 დეკემბერს. შესვლა შეიძლება ყოველ დღე, 10 საათიდან 18 საათამდე.

გამოფენის მისამართია: თბილისი, ა. წერეთლის პრ. № 118.






თუ გსურთ „ლელო" მიიღოთ გაისად 1 იანვრიდან, უნდა იჩქაროთ: ხელმოწერა მთავრდება 25 ნოემბერს.

ხელმოწერის წლიური ფასია 7 მან. და 80 კაპ.

გამოიწერეთ ჩვენი გაზეთი!


ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი). 20 ნოემბერი. სათადარიგო შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს. 21 ნოემბერი. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 68418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 12875